განკარგულება:**გ-27.27213124**
თარიღი:**08/11/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №72

08 ნოემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მეწარმე ადამ აბალოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მინიციპალიტეტის მერს, მეწარმე ადამ აბალოიძეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, **10 (ათი)** წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.42.593) და მასზე განთავსებული მწვანე ნარგავები (9 ძირი ფიჭვის ხე).

2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს **4 800** (ოთხი ათას რვაასი) ლარით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი